ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №14

დ. ჩოხატაური *30 ოქტომბერი 2015 წელი*

სხდომის თავმჯდომარე - ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ვლადიმერ სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია,გიორგი რამიშვილი, რამაზ უჯმაჯურიძე, ოთარ სოროზანიშვილი, ერეკლე უღრელიძე, უშანგი ართმელაძე, ალეკო კვინტრაძე, მარინე ბერაძე, კობა კალანდაძე, დავით შარაშიძე, ზვიადი მამალაძე, მაია პაიჭაძე, ირაკლი ახობაძე, მანანა მინდაძე, დიმიტრი კორიფაძე,გოდერძი გოგიშვილი, რომანი ჯულაყიძე, არჩილ სიხარულიძე, კლოდი მდინარაძე.

არ ესწრებოდნენ: ქეთევან სიხარულიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, დათო ვაჩეიშვილი, ალექსანდრე შარაშიძე, მალხაზ ჩხიკვაძე, დავით გუდავაძე, დავით ტრაპაიძე, გოჩა თოდრია, მაია გიორგაძე, გია გვენეტაძე, შალვა ჩანტლაძე, მამია ბარამიძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა).

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

გელა ლომინეიშვილი- გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი.

ბექა შენგელია- გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომას ესწრებოდა:

მაია გოგოლაძე- საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი.

ზაზა ოსეფაიშვილი- გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის საკითხებში.

ნუგზარ მგელაძე- გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ბარამიძე- ა(ა)ი.პ. სკოლამდელი საამღზრდელო დაწესებულება „მომავალის“ დირექტორი;

მარინა ცინცაძე- ა(ა)ი.პ. სკოლამდელი საამღზრდელო დაწესებულება „მომავალის“ დირექტორის მოადგილე;

გულნაზი დოლიძე- ა(ა)ი.პ. სკოლამდელი საამღზრდელო დაწესებულება „მომავალის“ ბუღალტერი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

2. ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ'' ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

4. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ” – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის N44 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

7. ,,დ. ჩოხატაურში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის“ საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრში (პკ 9+80-ში) მდინარე სუფსაზე მდებარე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო ხიდისთვის მერაბ ახობაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის შესწავლის დავალების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

საკრებულოს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გამგეობის საკითხების პირველად განხილვის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 25 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის შესწავლის დავალების შესახებ.

მომხსენებელი: დავით შარაშიძე

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ'' ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი : გელა ლომინეიშვილი

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

5. ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

7. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის N44 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

8. ,,დ. ჩოხატაურში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის" საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრში (პკ 9+80-ში) მდინარე სუფსაზე მდებარე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო ხიდისთვის მერაბ ახობაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის შესწავლის დავალების შესახებ.

მოისმინეს:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის შესწავლის დავალების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u>

მაია პაიჭაძემ მომხსენებელს მიმართა კითხვით: გაქვთ თუ არა რაიმე დოკუმენტალურად დასაბუთებული , როცა ამბობთ, თუ რა მდგომარეობაშია საბავშვო ბაღები? არის თუ არა პროექტები სწორად გაკეთებული და არის თუ არა შესაბამისი კომისიისგან შემოწმებული, თუ მარტო თქვენი შეფასებითაა ეს დასკვნები? მთავარი არის კორექტირება. პროექტი უნდა იყოს თავშივე სწორად დაგეგმილი, რომ შემდეგ მსგავსი პრობლემების წინაშე არ აღმოვჩნდეთ.

მანანა მინდაძემ შეეკითხა დავით შარაშიძეს: თქვენ იმიტომ ხომ არ უცხადებთ უნდობლობას მიღება- ჩაბარების კომისიას თქვენ რომ მისი წევრი არ ხართ?

ნინო ბარამიძემ აღნიშნა, რომ ჩვენ გვაქვს ტექნიკური რეგლამენტი, სადაც წერია, რომ ჯგუფი იგეგმება 25 ბავშვზე. თითოეულ ბავშვზე 2კვ.მ. უნდა იყოს საძინებელი, სამზარეულო და სააღმზრდელო ჯგუფი, რის გამოც გვიხდება ორსართულიანი ლოგინების შეძენა. რაც

შეეხება სოფელ ამაღლების საბავშვო ბაღს, აღვნიშნავ, რომ ხშირად ისე ხდება, რომ შედგენილი პროექტები იცვლება ჩვენგან დამოუკიდებლად და გამომდინარე აქედან, ამაზე ჩვენ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებთ. სათამაშოების პრობლემა ბაღში ნამდვილად არის, თუმცა შევიძინეთ ზოგი პედაგოგებმა, ზოგი მშობლებმა, მაგრამ ისინი არის ერთჯერადი. საჭიროა ძვირადღირებული სათამაშოები, ასევე ეზოს სათამაშოები. რაც შეეხება ჭურჭელს, ვერ დავეთანხმები მომხსენებელს, რადგან ჩვენ სათითაოდ ყველა ბაღში შევცვალეთ ტიპიური ჭურჭელი. რაც შეეხება კვებას და კვების ნორმებს, ჩვენ წლებია უკვე აღარ ვეკუთვნით არც განათლების სამინისტროს და არც ჯანმრთელობის სამინისტროს. იყო დრო, როცა მათ ქონდათ შემუშავებული კვების კალორაჟები. კალორიები ჩვენს დონეზე გავაკეთეთ, მივმართეთ კვალიფიცებულ ადამიანებს, დავუდებთ ხელშეკრულებას და უკვე ვმუშაობთ ამ კუთხით. მენიუ რაც არის, გადამზადების შედეგად გადაწყდა. დღეს ერთ ბავშვზე დღიურად გაიცემა 1ლარი და 60 თეთრი. კალორიების გაზრდა გამოიწვევს 1 ბავშვზე გაზრდას 3 ლარამდე. ეს გამოიწვევს ბიუჯეტის გაზრდას. ეს ალბათ იქნება 2016 წლიდან გათვალისწინებული. მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ დავით შარაშიძეს, ესაა ადამიანი, რომელიც ჩვენს გვერდით დგას წლებია და მადლობა იმისთვისაც, რომ დაინახა და დააფასა პედაგოგების მუშაობა.

დავით შარაშიძემ აღნიშნა, რომ მიღება-ჩაბარების კომისიაში მოვითხოვე ყოფილიყო სკოლამდელი საამღზრდელო დაწესებულებიდან ერთი წარმომადგენელი მაინც ბაღების გაერთიანებიდან, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის საბავშვო ბაღებში რა პრობლემებიცაა, მაგრამ არ გაითვალისწინეს ჩემი თხოვნა.

ზვიად მამალაძემ აღნიშნა, რომ თუ ამ საკითხთან დაკავშირებით გაჩნდა ამდენი შეკითხვა, დავაყენოთ საკითხი განსახილველად, დავუთმოთ ამ საკითხს ერთი სხდომა, მოვიწვიოთ შესაბამისი კომისიები. თუ კომისიამ ასეთი უხარისხო პროექტები მიიღო, ამაზე პასუხია მოსათხოვი, თუ არა და გავარკვიოთ დეტალურად. ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტულად თითოეული ბაღის შესახებ საბავშვო ბაღების გაერთიანებების მოსაზრებები, დაინტერესებული დეპუტატები, გამგებელიც მოვიწვიოთ და განვიხილოთ საფუძვლიანად ეს საკითხები. მე დიდ მადლობას ვუხდი საბავშვო ბაღის პედაგოგებს და თუ შესაძლებელი იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში 50 ლარი მაინც გამოინახოს თითოეულ ხელმძღვანელზე ხელფასის დამატების მიზნით.

გელა ლომინეიშვილმა აღნიშნა, რომ ეს თანხა დაახლოებით არის 120-დან 150 000 ათასი ლარი და ვფიქრობ, ყველაფერი ერთდროულად ვერ მოხერხდება, ეტაპობრივად შევძლებთ ამის გაკეთებას.

ზაალ მამალაძე- დავავალოთ შესაბამის სამსახურებს ამ შენიშვნებზე გაგვცეს შესაბამისი პასუხი. შეკითხვები იქნეს ოფიციალურად გადაგზავნილი სოციალურ საკითხთა კომისიიდან შესაბამის სამსახურში და შევხვდეთ გამგებელს, გავიგოთ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების, თითოეული პედაგოგის მოსაზრებები და ყველა შეკითხვას გაეცემა პასუხი შესაბამისად და ნათელი იქნება პრობლემაც და მისი გადაჭრის გზებიც. იყოს კონკრეტული შენიშვნები კონკრეტული პასუხებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის შესწავლის დავალების შესახებ.

II საკითხი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

მოისმინეს:

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა შენგელია

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, მაია პაიჭაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ" ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ" ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი : გელა ლომინეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u>

დავით შარაშიძემ აღნიშნა, რომ პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის თანხიდან 50 000 ლარი უნდა მიმართულიყო სოფელ გორაბერეჟოულის ციხე-სიმაგრის რესტავრირებაზე. ვითვალისწინებთ ამას თუ არა?

სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურისათვის ონკო ავადმყოფების დასახმარებლად გამოყოფილი თანხები უკვე ამოწურულია. ხალხი მოდის დასახმარებლად, ვერ ვეხმარებით ბიუჯეტში თანხის არ ქონის გამო, რაც სამწუხარო ფაქტია. როგორ მოვიქცეთ, ვის მივმართოთ?

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ" ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მერვე მუხლის ,,ბ" პუნქტის თანახმად, არაფინანსური აქტივების კლება არის 113,0 ათასი ლარი, მიწის გადასახადიდან შემოსავალი დაგეგმილი იყო 98.0 ათასი ლარი. შენობა-ნაგებობის გაყიდვიდან შემოსული 67881,70 ლარი და მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან შემოსული 3984 ათასი ლარი შემოსავლების გეგმაში საერთოდ არ არის ასახული. ბიუჯეტის მოცულობა მთლიანობაში გაიზარდა 160,3ათასი ლარით,ამ თანხის გაზრდით თქვენ გაზარდეთ ხარჯები218,5ათასი ლარით და შეამცირეთ 58,2 ათასი ლარით არაფინანსური აქტივების ზრდა, ანუ ვაკეთებთ ნაკლებს და ვხარჯავთ მეტს? არ არის დასაბუთებული ხარჯის ზრდა. მოგმართავთ საკრებულოს წევრებს: თუ იცით კონკრეტულად ნებისმიერი ა(ა)ი.პ-სათვის რა თანხას წარმოადგენს მაგალითად 40 000 ლარის დამატება თუ რისთვის ჭირდება კონკრეტულად და რა ხარჯების დასაფარად. ვითხოვ უფრო მეტ კონკრეტიკას.

გელა ლომინეიშვილმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს: რა თქმა უნდა 50 000 ლარი რომელიც უნდა მიმართულიყო სოფელ გორაბერეჟოულის ციხე-სიმაგრის რესტავრირებაზე, ვითვალისწინებთ, შესაბამისად კეთილმოწყობის მუხლში მიემართება ეს თანხები და შემდეგ იქნება მიღებული გადაწყვეტილება თუ სად იქნება მიმართული კონკრეტულად რომელიმე პროექტის განსახორციელებლად. ეს საკითხი მსჯელობის ქვემდებარეა და შესაბამისად საკრებულოს წევრებსაც გაგაცნობთ. თუ მოგვცემს ჩვენი ბიუჯეტი ამის საშუალებას, ყველანაირად ვეცდებით ხელი შევუწყოთ პროექტების განხორციელებას, რომლებიც ემსახურება კარგ საქმეს, საბავშვო ბაღი იქნება ეს თუ ციხე- სიმაგრის რესტავრირება.

ეს თანხები არის სახაზინო ფორმაში, რომელიც თქვენ წარმოგიდგინეთ ყველაფერია ასახული ამ ფორმაში. ეს არის გამოწვეული ხაზინაზე გადასვლით. მოთხოვნები არის სხვა და ფორმა სხვა. ფორმა კეთდება Word-ის ფორმატში და მოთხოვნა იყო თქვენი რომ Excel-ში გაკეთებულიყო ეს ფორმა, მაგრამ ყველა მუნიციპალიტეტი ამ საოფისე პროგრამაში მუშაობს და შეუძლებელია და ვერც შევიტანთ ამ ცვლილებას, რადგან ფინანსებთანაა დაკავშირებული.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 24

წინააღმდეგი _ 1

(ი. ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ'' ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ, ერეკლე უღრელიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.

V საკითხი: ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

5. ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ოთარ სოროზანიშვილმა, მანანა მინდაძემ, გოჩა ჯიქიამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

VI საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დიმიტრი კორიფაძემ, დავით ტყეშელიაძემ, უშანგი ართმელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VII საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის N44 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

7. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის N44 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა, ერეკლე უღრელიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის N44 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VIII საკითხი: ,,დ. ჩოხატაურში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის" საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრში (პკ 9+80-ში) მდინარე სუფსაზე მდებარე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო ხიდისთვის მერაბ ახობაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მოისმინეს:

8. ,,დ. ჩოხატაურში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის“ საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრში (პკ 9+80-ში) მდინარე სუფსაზე მდებარე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო ხიდისთვის მერაბ ახობაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოჩა ჯიქიამ, დავით შარაშიძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 24

წინააღმდეგი _ 0

(ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარემ- ირაკლი ახობაძემ კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,დ. ჩოხატაურში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის“ საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრში (პკ 9+80-ში) მდინარე სუფსაზე მდებარე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო ხიდისთვის მერაბ ახობაძის სახელის მინიჭების შესახებ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით შარაშიძემ და აღნიშნა, რომ კულტურის მინისტრს მივწერეთ წერილი ჩვენი კომისიის სახელით 2005 წელში მაშინდელი გამგებლის მიერ იქნა წერილი გაგზავნილი და 2006 წელში სოფელ გორაბერეჟოულში არსებული ციხე-სიმაგრე გამოცხადდა ძეგლად, რომელიც არის უნიკალური და ჩოხატაურისთვის მნიშვნელოვანი. 2016 წლის ბიუჯეტში კულტურის სამინისტრო გამოყოფს თანხას, გაკეთდება პროექტი და ჩაიდება ბიუჯეტში თანხა ამ ციხე-სიმაგრის რესტავრირებისთვის. პროექტი მოვა მუნიციპალიტეტში, რადგან ძეგლადაა აღიარებული. ის თანხა, რომელიც გამოყოფილი იყო ამ ციხე- სიმაგრის რესტავრირებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 50 000 ლარის ოდენობით, სად არის ეს თანხა? უნდა მოხდეს სასწრაფოდ ციხე-სიმაგრის რესტავრირება, რადგან დღითი-დღე ნადგურდება შენობა. ინგრევა კედელი, აუცილებელია მისი გადახურვა.

გელა ლომინეიშვილი: არანაირი ინფორმაცია არ მაქვს ციხე- სიმაგრის რესტავრირებისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა თუ სად იქნა მიმართული. გამოდის, ეს 50 000 ლარი დევს ბიუჯეტში.

ზაალ მამალაძემ მიმართა საკრებულოს წევრებს: სოფ. გორაბერეჟოულის ციხე- სიმაგრეში ყოფილი გარაჟების სახურავზე დევს ხე, რომელიც აუცილებლად მოსაშორებელია და ვიზრუნოთ ამ პრობლემის მოგვარებაზე. მივმართოთ გამგეობის შესაბამის სამსახურს, ვისაც აქვს პასუხისმგებლობა გარემოს დაცვასთან დაკავშირებით და ერთობლივად ვიზრუნოთ ამ პრობლემის მოგვარებაზე.

მეორე განცხადება მდგომარეობს შემდეგში: ისრაელის საელჩომ გადაწყვიტა განეხორციელებინა 10 000 ლარიანი სოციალური პროექტი, სათბურის გაკეთება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, სადაც დასაქმდება ხუთი შ.შ.მ. პირი. ასევე გაკეთდა იზრაელის საელჩოსთან საქართველოს დამეგობრება დაღუპული ებრაელებისა და ქართველი გმირების საპატივცემულოდ. ჩამოვა კონსული, გაკეთდება დაფინანსება მედლებისა თუ სხვა საჩუქრებისთვის და მომავალი წლიდან ამ გმირების საპატივცემულოდ ჩამოვა გუნდი ახალგაზრდების და გაგრძელდება სამომავლოდაც ჩვენი მეგობრობა. იქნება ბიზნეს- გეგმებზე საუბარი, სურვილი გვაქვს ჩამოესხას ღვინო ქართული ეტიკეტით და ჩვენი დროშით. შემდეგ შეიძლება ეს ღვინო გავიდეს საქართველოდან ამ სახელმწიფოში რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ზაალ მამალაძე